KA021734402644516

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ.8

N10/48153

19 / სექტემბერი / 2016 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
დაბა მანგლისის №1 საჯარო სკოლას

ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრში შემოსული თქვენი 19.09.2016 წლის MES 6 16 00990631 წერილისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, დაბა მანგლისის N1 საჯარო სკოლას უძრავი ქონება გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით, კანონით დადგენილი წესით და საკითხი შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან – მომსახურების ცენტრი არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, იჯარის ფორმით გასცეთ ზ/აღნიშნულ წერილში მითითებული უძრავი ქონება. ამასთან გაცნობებთ, რომ მხარეებს შორის გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებაში აუცილებელ პირობად უნდა ჩაიდოს შემდეგი: „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებულ უნდა იქნეს საიჯარო ხელშეკრულება“. საიჯარო ქირა უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული აუდიტორის მიერ შედგენილი იჯარის თანხის ოდენობის დამდგენი გადაწყვეტილებით. ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, დაბა მანგლისის N1 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის
უფროსი

ქეთი გენებაშვილი